

შპს ჯეორჯიან პროდაქტს
ს.ნ 405070676

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
აუდიტის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	13
ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები:.....	15
1. ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	15
2. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო გარემო.....	15
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	15
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	23
5. ძირითადი საშუალებები	24
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	25
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	25
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	26
9. საოპერაციო შემოსავლები	26
10. თვითღირებულება.....	26
11. სხვა შემოსავლები	26
12. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები.....	27
13. მიწოდების ხარჯები	27
14. სხვა ხარჯები.....	28
15. სასამართლო დავები.....	28
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	28
17. შეიღობილ საწარმოსთან განხორციელებული ოპერაციები	28
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ მეწილეებს და მენეჯმენტს

დასკვნა

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ და მისი შვილობილი კომპანიის შპს „ბოზინის“ (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფში შემავალი კომპანიებისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფში შემავალი კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის



გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობის ანგარიში მოიცავს კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებას. წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. ჩვენი მოვალეობაა გავცნოთ ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას და გამოვთქვათ მოსაზრება, მასში ასახული ინფორმაცია სრულად შეესაბამება თუ არა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და თანხვედრაშია თუ არა კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას კონსოლიდირებულ მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ❖ ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა



შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;

❖ შვეიცარიული აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგემოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

❖ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

❖ გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

❖ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

❖ მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

შპს “პარკერ რასელ საქართველო”-ს (SARAS-F-659025) სახელით

ანა აფრიაშვილი (SARAS-A-104236)

გარიგების პარტნიორი

28 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო



რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;

❖ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

❖ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

❖ გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

❖ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

❖ მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

შპს "პარკერ რასელ საქართველო"-ს (SARAS-F-659025) სახელით

ანა აფრიაშვილი (SARAS-A-104236)

გარიგების პარტნიორი

28 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

S. Ash

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3 281 479	2 368 520
არამატერიალური აქტივები		7 032	0
გადახდილი ავანსები		26 728	13 521
გრძელვადიანი მოთხოვნები		1 210 598	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 525 837	2 382 041
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	5 479 311	4 270 820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4 243 459	2 588 367
ფული და ფულის ეკვივალენტები		1 029 140	658 435
სხვა მიმდინარე აქტივები		269 318	265 943
საგადასახადო აქტივები		29 208	0
სულ მიმდინარე აქტივები		11 050 436	7 783 565
სულ აქტივები		15 576 273	10 165 606
საწესდებო კაპიტალი		55	55
გაუნაწილებელი მოგება		13 910 655	8 906 964
სულ კომპანიის მფლობელების კაპიტალი		13 910 710	8 907 019
არამაკონტროლებელი წილი		29 281	17 357
სულ საკუთარი კაპიტალი		13 939 991	8 924 376
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		707 599	431 755
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		707 599	431 755
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		2 868	268
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	903 525	809 207
გადასახდელი დივიდენდი		22 291	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		928 683	809 474
სულ ვალდებულება და კაპიტალი		15 576 273	10 165 606

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

დავით ბარდაველიძე

მთ. ბუღალტერი

ვიქტორ პაპაშვილი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3 281 479	2 368 520
არამატერიალური აქტივები		7 032	0
გადახდილი ავანსები		26 728	13 521
გრძელვადიანი მოთხოვნები		1 210 598	0
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>4 525 837</u>	<u>2 382 041</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	5 479 311	4 270 820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4 243 459	2 588 367
ფული და ფულის ეკვივალენტები		1 029 140	658 435
სხვა მიმდინარე აქტივები		269 318	265 943
საგადასახადო აქტივები		29 208	0
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>11 050 436</u>	<u>7 783 565</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>15 576 273</u>	<u>10 165 606</u>
საწესდებო კაპიტალი		55	55
გაუნაწილებელი მოგება		13 910 655	8 906 964
სულ კომპანიის მფლობელების კაპიტალი		13 910 710	8 907 019
არამაკონტროლებელი წილი		29 281	17 357
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>13 939 991</u>	<u>8 924 376</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		707 599	431 755
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		<u>707 599</u>	<u>431 755</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		2 868	268
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	903 525	809 207
გადასახდელი დივიდენდი		22 291	
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		<u>928 683</u>	<u>809 474</u>
<u>სულ ვალდებულება და კაპიტალი</u>		<u>15 576 273</u>	<u>10 165 606</u>

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:


 დირექტორი
 დავით ბარდაველიძე


 მთ. ბუღალტერი
 ვიქტორ პაპაშვილი



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019
ამონაგები	9	33 759 772
თვითღირებულება	10	(20 654 329)
საერთო მოგება		13 105 443
სხვა შემოსავლები	11	4 451 695
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2 388 632)
მიწოდების დანახარჯები	13	(2 981 948)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)		(40 046)
სხვა ხარჯები	14	(1 945 890)
საოპერაციო მოგება		10 200 623
ფინანსური შემოსავალი		298
ფინანსური ხარჯი/საპროცენტო ხარჯი		(9 907)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(9 609)
მოგება დაბეგვრამდე		10 191 014
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		10 191 014
სხვა სრული შემოსავალი:		
განეკუთვნება:		10 191 014
მფლობელს		10 146 291
არამაკონტროლებელი წილი		44 723

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:


 დირექტორი
 დავით ბარდაველიძე



 მთ. ბუღალტერი
 ვიქტორ პაპაშვილ

მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019
ამონაგები	9	33 759 772
თვითღირებულება	10	(20 654 329)
საერთო მოგება		13 105 443
		-
სხვა შემოსავლები	11	4 451 695
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2 388 632)
მიწოდების დანახარჯები	13	(2 981 948)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)		(40 046)
სხვა ხარჯები	14	(1 945 890)
		-
საოპერაციო მოგება		10 200 623
		-
ფინანსური შემოსავალი		298
ფინანსური ხარჯი/საპროცენტო ხარჯი		(9 907)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(9 609)
მოგება დაბეგვრამდე		10 191 014
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		10 191 014
სხვა სრული შემოსავალი:		
განეკუთვნება:		10 191 014
მფლობელს		10 146 291
არამაკონტროლებელი წილი		44 723

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

დავით ბარდაველიძე


მთ. ბუღალტერი

ვიქტორ პაპაშვილ

	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	10 191 014
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	1 463 098
- დარიცხული მოგების გადასახადი	891 781
- ცვეთა	303 835
- დარიცხული პროცენტი	9 907
- არაფულადი შემოსულობა	38 496
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9 786
- ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	209 293
ცვლილებები საშუალო კაპიტალში	(2 015 055)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(1 655 092)
მარაგები	(1 208 491)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	95 637
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(1 319)
- სხვა მიმდინარე აქტივები	(3 375)
- საგადასახადო აქტივები	(29 208)
- წინასწარ გაწეული ხარჯი	(13 207)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	8 839 056
- მიღებული პროცენტი	(9 907)
- გადახდილი პროცენტები	(891 781)
გადახდილი მოგების გადასახადი	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7 937 368
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 466 969)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	31 096
- არამატერიალური აქტივების შემოსვლა	(7 032)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 442 905)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- სასესხო ვალდებულების ზრდა	278 444
- გრძელვადიანი ფინანსური მოთხოვნები	(1 210 598)
- გადახდილი დივიდენდები	(5 191 003)
- ფინანსური ხარჯი	
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(6 123 758)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	370 707
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	658 435
გადავლილი პერიოდის ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	1 029 140

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:


დირექტორი
დავით ბარდაველიძე




მთ. ბუღალტერი
ვიქტორ პაპაშვილი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

წმინდა მოგება	10 191 014
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	1 463 098
- დარიცხული მოგების გადასახადი	891 781
- ცვეთა	303 835
- დარიცხული პროცენტი	9 907
- არაფულადი შემოსულობა	38 496
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	9 786
- ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	209 293

ცვლილებები საშუაო კაპიტალში	(2 815 055)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(1 655 092)
- მარაგები	(1 208 491)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	95 637
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(1 319)
- სხვა მიმდინარე აქტივები	(3 375)
- საგადასახადო აქტივები	(29 208)
- წინასწარ გაწეული ხარჯი	(13 207)

ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	8 839 056
- მიღებული პროცენტი	
- გადახდილი პროცენტები	(9 907)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(891 781)

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7 937 368
--	------------------

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 466 969)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	31 096
- არამატერიალური აქტივების შემოსვლა	(7 032)

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 442 905)
--	--------------------

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- სასესხო ვალდებულების ზრდა	278 444
- გრძელვადიანი ფინანსური მოთხოვნები	(1 210 598)
- გადახდილი დივიდენდები	(5 191 603)
- ფინანსური ხარჯი	

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(6 123 758)
---	--------------------

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	370 707
---	----------------

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	658 435
--	----------------

გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	
---	--

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	1 029 140
--	------------------

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

დავით ბარდაველიძე

ვიქტორ პაპაშვილი

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
 (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	მფლობელის გაუნაწილებელი მოგება	მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლე ბელი წილი	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	55	8 906 962	8 907 017	17 357	8 924 374
წმინდა მოგება		10 146 291	10 146 291	44 723	10 191 014
სხვა ცვლილება საკ კაპიტალში		23 883	23 883	14 613	
პერიოდის სრული შემოსავალი/ხარჯი	-	19 077 136	10 170 174	59 337	10 229 511
გაცემული დივიდენდები	-	(5 150 205)	(5 150 205)	(43 344)	(5 193 549)
სხვა ცვლილება საკ კაპიტალში		(16 276)	(16 276)	(4 069)	(20 345)
2019 წლის 31 დეკემბერი	55	13 910 655	13 910 710	29 281	13 939 991

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და
 ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

 დირექტორი

დავით ბარდაველიძე

 მთ. ბუღალტერი


ვიქტორ პაპაშვილი

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	მფლობელის გაუნაწილებელი მოგება	მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლე ბელი წილი	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	55	8 906 962	8 907 017	17 357	8 924 374
წმინდა მოგება		10 146 291	10 146 291	44 723	10 191 014
სხვა ცვლილება საკ. კაპიტალში		23 883	23 883	14 613	
პერიოდის სრული შემოსავალი/ზარცი	-	19 077 136	10 170 174	59 337	10 229 511
გაცემული დივიდენდები	-	(5 150 205)	(5 150 205)	(43 344)	(5 193 549)
სხვა ცვლილება საკ. კაპიტალში		(16 276)	(16 276)	(4 069)	(20 345)
2018 წლის 31 დეკემბერი	55	13 910 655	13 910 710	29 281	13 939 991

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და ხელმოწერილია 2020 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:



 დირექტორი მთ. ბუღალტერი
 დავით ბარდაველიძე ვიქტორ პაპაშვილი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ჯგუფი შედგება მშობელი საწარმოსგან შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ და მისი შვილობილი საწარმოსგან, შპს „ბობინისაგან“. შპს „ჯეორჯიან პროდაქტს-ის“ 100%-იან წილს ფლობს მერი ბარდაველიძე პ/ნ 01024009685. შპს „ბობინის“ დამფუძნებლები არიან:

80% წილის მფლობელია შპს „ჯეორჯიან პროდაქტსი“ ს.ნ 405070676

20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ალექსანდრე კიკნაძე პ.ნ 35001105982

2014 წელს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში დაარსდა. კომპანიის განვითარებას ხელი შეუწყო ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელისმოწერამ. ასორტიმენტი მოიცავს კატის ხეებს, ძაღლის სახლებსა და რბილ ავეჯს. ჩვენი მიზანია მომხმარებელს შევთავაზოთ ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც ბევრად აუმჯობესებს შინაური ცხოველების ცხოვრების ხარისხს. ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხიდან და ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე გვაქვს ამბიციური გეგმები, ავითვისოთ ახალი ბაზრები და კონკურენცია გავუწიოთ შინაური ცხოველების პროდუქციის უმსხვილეს მომწოდებლებს მსოფლიოში.

2016 წლის 26 მაისს დაარსდა შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ის შვილობილი საწარმო შპს „ბობინი“ (სკ 405151151) რომლის ძირითადი საქმიანობაა ქაღალდის მიღების წარმოება.

2. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო გარემო

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ წარმოებული პროდუქციის 100% გადის ექსპორტზე ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანასა და დიდ ბრიტანეთში. ასევე გვაქვს ამბიცია რომ შევიდეთ საკმაოდ დიდ ბაზრებზე, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ბაზარი. კონკურენტები გვყავს ჩინური კომპანიები, თუმცაღა აღსანიშნავია რომ ფასით ხარისხით და მიწოდების სისწრაფით მათ ბევრად აღვემატებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი კომპანიის სწრაფი განვითარება და ახალი ბაზრების ათვისების ამბიციური გეგმა.

შვილობილი საწარმოს შპს „ბობინის“ (სკ 405151151) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქაღალდის მიღების წარმოება. ქაღალდის მიღები მშობელი საწარმოს შპს „ჯეორჯიან პროდაქტს-ის“ მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს საბოლოო პროდუქტის შექმნაში, ამიტომ წარმოებული მასალის ძირითად ნაწილს აწვდის ჯერჯერობით შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

3.1 მომზადების საფუძვლები

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფში შემავალი კომპანიები განაგრძობენ ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფში შემავალი კომპანიების ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

დოლარი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 2,8677

ევრო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 3,2095

3.3 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით. პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

3.4 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.5 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები 10 წელი

დანადგარები და სხვა აღჭურვილობა 4-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი

ავიჯი და სხვა აღჭურვილობა 3-6 წელი

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდგომი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

3.9 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების

საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

3.12 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

3.13 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულება მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

3.14 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებსა და ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყიდად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

3.15 სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

3.16 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში

ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

3.17 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3.18 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

3.19 ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

3.20 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

5. ძირითადი საშუალებები

სულ

	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	წვრილმანი აღჭურვილობა და დანადგარი (სხვადასხვა)	ტრანსპორტი	ფინანსური იჯარით მიღებული ქონება	სხვა ძირითადი საშუალებები	
31 დეკემბერი 2019	306 491	1 999 413	48 371	170 658	96 942	-	339 662	2 765 128
შემოსვლა (2019)	348 373	170 531	11 535	37 187	84 964	757 863	56 517	1 466 969
გადაფასება (2019) გასული ძირ. საშუალებების ისტ. ღირებულება	-	-	-	-	-	-	-	-
	(246 620)	(23 553)	-	(1 312)	-	-	-	(271 485)
31 დეკემბერი 2019	408 243	2 146 390	59 906	206 533	181 906	757 863	396 179	4 157 020
ცვეთა და გაუფასურება								-
31 დეკემბერი 2019	(47 151)	(286 906)	(23 744)	(51 774)	(38 990)	-	(144 451)	(593 016)
დაგროვილი ცვეთა								
პერიოდის ცვეთა (2019) გასული ძირ.	(42 336)	(196 097)	(7 460)	(21 160)	(12 061)	(20 248)	(4 473)	(303 835)
საშუალებების დაგროვილი ცვეთა (2019)	1 732	18 314	-	1 264	-	-	-	21 310
31 დეკემბერი 2019	(87 755)	(464 689)	(31 204)	(71 670)	(51 051)	(20 248)	(148 924)	(875 541)
დაგროვილი ცვეთა								
წმინდა საბალანსო ღირებულება								-
31 დეკემბერი 2019	259 340	1 712 507	24 627	118 883	57 952	-	195 211	2 368 520
31 დეკემბერი 2019	320 489	1 681 701	28 702	134 863	130 855	737 615	247 255	3 281 479

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2019	01.01.2019
ნედლეული (კატისა და ძაღლის) და მასალები	4 753 873	3 712 782
საცხები მასალა	1 890	2 334
დამხმარე მასალა	247 712	147 421
ნიმუში	0	11 831
ტარა-შესაფუთი	70 106	3 158
საქონელი	11 054	61 692
შრომის საშუალებები და ინვენტარი	2 552	40 647
დაუმთავრებელი წარმოება	151 665	3 389
მზა პროდუქცია	228 502	287 567
ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია	11 957	0
არასაგადასახადო ხარჯი	0	6 870
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	5 479 311	4 270 820

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2019	01.01.2019
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	2 304 551	1 177 705
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	200	27 075
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	2 119	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 640 305	1 383 587
გადახდილი ხელფასები	286 866	
საპენსიო	9 418	
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4 243 459	2 588 367

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2019	01.01.2019
მიღებული ავანსები	0	620 100
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	903 525	185 105
გადასახდელი ხელფასი	0	2 683
საგადასახადო ვალდებულებები		1 319
სულ სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები	903 525	809 207

9. საოპერაციო შემოსავლები

	2019 წელი
შემოსავლები რეალიზაციიდან	33 740 355
სხვა საოპერაციო შემოსავლები	19 416
სულ საოპერაციო შემოსავლები	33 759 772

10. თვითღირებულება

	2019 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	6 774 032
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11 604
იმპორტის გადასახადის ხარჯი	9 748 524
ძირითადი მასალების დანახარჯები	562 278
დამხმარე მასალების დანახარჯები	32 749
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	1 987 192
პირდაპირი ხელფასი	92 203
სხვა საოპერაციო ხარჯები	1 445 747
სულ თვითღირებულება	20 654 329

11. სხვა შემოსავლები

	2019 წელი
სხვადასხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1 546 774
შემოსავალი ნარჩენების გადამუშავებიდან	31 945
სადაზღვეო მიერ ანაზღაურებული ზარალი	3 696
შემოსავალი არამძირითადი საქმიანობიდან	2 869 281
სულ სხვა შემოსავლები	4 451 695

12. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წელი
ადმინისტრაციის ხელფასი	683 099
კომუნალური ხარჯი	135 712
იჯარის ხარჯი	591 964
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	2 584
კომუნიკაციის ხარჯი	4 610
დაზღვევა	54 591
რემონტის ხარჯი	201 168
საგადასახადო ხარჯები	41 540
საკონსულტაციო ხარჯები	29 865
ცვეთა და ამორტიზაცია	303 835
წარმომადგენლობითი ხარჯი	2 309
საკანცელარიო ხარჯები	1 125
სამივლინებო ხარჯი	122 741
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	6 963
სხვა საერთო ხარჯი	70 560
ძირ საშუალების რემონტი	40 529
ხელფასი სხვა	10 272
ბანკის საკომისიო	32 104
საოფისე ინვენტარი	3 803
ორგანიზაციის საპენსიო	49 262
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	2 388 632

13. მიწოდების ხარჯები

	2019 წელი
გაყიდვების და მიწოდების ხარჯი	42 920
ტრანსპორტირების ხარჯი (ექსპორტზე)	2 886 193
საწვავის ხარჯი	4 701
ბროკერის ხარჯი	14 817
რეკლამის ხარჯები	33 318
სულ მიწოდების ხარჯები	2 981 948

14. სხვა ხარჯები

	2019 წელი
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	596 019
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	451 169
ხარჯები ნარჩენების გადამუშავებიდან	1 708
მოგების გადასახადი	896 994
სულ სხვა ხარჯები	1 945 890

15. სასამართლო დავები

სასამართლო დავებიდან ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. სასამართლო დავის შედეგები დამოკიდებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობაზე.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დირექტორებზე გაცემულმა ხელფასმა 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 181 256 ლარი.

17. შვილობილ საწარმოსთან განხორციელებული ოპერაციები

შვილობილი საწარმოს დასახელება: შპს ბობინი ს.ნ 405151151

2019 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვა 1 217 997,38 ლარი

2019 წლის ბოლოს არსებული გადასახდელი ვალდებულებები 46 353 ლარი

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში დივიდენდის სახით გაცემულია 3 609 490 ლარი.

შპს ჯეორჯიან პროდაქტს

ს.ნ 405070676

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქართველო, ქალაქი თბილისი

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს შპს “ჯეორჯიან პროდაქტს” და მის შვილობილი კომპანია შპს „ბობინთან“ (შემდგომში ჯგუფი) დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს ჯგუფის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს ჯგუფში შემავალი კომპანიების განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიებში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს “ჯეორჯიან პროდაქტს”-ის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეხადოთ ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. ჯგუფის შესახებ

ჯგუფში შედიან შემდეგი კომპანიები

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ ს.ნ 405070676 - როგორც მშობელი საწარმო

შპს „ბობინი“ ს.ნ 405151151- როგორც შვილობილი საწარმო

2014 წლის 27 ივნისს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა საქართველოს ლოჯისტიკურად ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად იყო პირველი ბიძგი იმისა, რომ რეალურად გვეფიქრა საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში. შეღავათიანმა საბაჟო რეჟიმმა მოგვცა შანსი კონკურენცია გაგვეწია ისეთი მწარმოებელი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი და ა.შ.

2016 წლის 26 მაისს დაარსდა შპს „ბოზინი“ (სკ 405151151) რომლის ძირითადი საქმიანობაა ქაღალდის მიღების წარმოება. ქაღალდის მიღები წარმოადგენს მშობელი საწარმოს შპს „ჯეორჯიან პროდაქტს-ის“ მნიშვნელოვან მასალას საბოლოო პროდუქტის შექმნაში.

4. ჯგუფის საქმიანობა

ჯგუფის საქმიანობა საბოლოო ჯამში შპს „ჯეორჯიან პროდაქტსისთვის“ საქმიანობის სფეროს სტარტაპის მიმართულების არჩევანი განაპირობა კონტაქტმა ცხოველების ავეჯის, საკვებისა და სხვა აქსესუარების ევროპის ბაზარზე მიმწოდებელ კომპანიასთან. ეს ნამდვილად იყო გამართლება, რადგან გაგვიადვილდა ევროპელი მომხმარებლისათვის იმ პროდუქციის შეთავაზება, რომელზეც უკვე არსებობდა მოთხოვნა.

არჩევანი შეჩერდა ცხოველების ავეჯის წარმოების დაწყებაზე. ეს გამოწვეული იყო პროდუქციის სპეციფიკის მეტ-ნაკლებად ცოდნით, რადგან ჩვენს ჰოლდინგში შემავალი კლიენტთა მომსახურების ონლაინ სერვის-კომპანია “GSG” რამდენიმე წლის განმავლობაში მომსახურებას უწევდა ევროპის ბაზარზე ცხოველების ავეჯის, საკვებისა და სხვა აქსესუარების მიმწოდებელ ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას.

რამოდენიმე წლის წინ წარმოება დავიწყეთ 1 დასახელების პროდუქტით. დღეს ჩვენს საწარმოში დასაქმებული 550-მდე ადამიანი პროდუქციის 130-მდე სახეობას აწარმოებს. ძირითადად, ორიენტირებული ვართ ევროკავშირის ქვეყნებზე - გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი, ბელგია, ინგლისი, პოლონეთი, ესპანეთი. ეხლაზნანს გადავდგით პირველი ნაბიჯები პროდუქციის აშშ-ში ექსპორტის მიმართულებით.

შვილობილი კომპანიის შპს „ბოზინის“ დაარსება გადაწყდა მშობელი კომპანიის სწრაფი ზრდის პირობებში. შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ საბოლოო პროდუქტის მისაღებად ესაჭიროებოდა ნედლეული ქაღალდის მიღები. აღნიშნული ნედლეული შემოგვქონდა თურქეთიდან, ქაღალდის მილი თავის მხრივ მოცულობითი ტვირთია და ტრასპორტირების ფასი მნიშვნელოვნად ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას. ქაღალდის მილის ადგილზე წარმოების დაწყებით მშობელი საწარმოს საბოლოო პროდუქტის ასორტიმენტი გავზადეთ უფრო რენტაბელური, ეფექტური და ხარისხიანი.

5. შიდა სტრუქტურა

მშობელი საწარმოს, შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დამფუძნებელია მერი ბარდაველიძე, პ/ნ 01024009685
კომპანიას უშუალოდ მართავს აღმასრ. დირექტორი - დავით ბარდაველიძე, 01024008040
ოპერატიული დირექტორი - ბექა სანს-მამულაშვილი
ფინანსური მენეჯერი - ალექსანდრე კიკნაძე
მთავარი ბუღალტერი: ვიქტორ პაპაშვილი
წარმოების ხელმძღვანელი: ირაკლი დოლიძე
ტექნიკური ინჟინერი: ზაზა მოსიაშვილი

შვილობილი საწარმოს, შპს „ბობინი“-ს სტრუქტურა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:
80% წილის მფლობელია შპს „ჯეორჯიან პროდაქტსი“ ს.ნ 405070676
20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ალექსანდრე კიკნაძე პ.ნ 35001105982

დირექტორი: ალექსანდრე კიკნაძე პ.ნ 35001105982
ბუღალტერი: ვიქტორ პაპაშვილი
წარმოების ხელმძღვანელი: გიორგი ქამხაძე.

ჯგუფში წარმოდგენილი გუნდები იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში, თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით, საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღეისათვის ჯეორჯიან პროდაქტსში კომპანიაში 550-მდე ადამიანია დასაქმებული, ხოლო შპს „ბიბინში“ 10-მდე.

6. სამომავლო გეგმები

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-მა, აშშ-ში საექსპორტო პოტენციალის ათვისების მიზნით 2019 წელს გადადგა კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ გაყიდვები დავიწყეთ მსოფლიო ონლაინ-პლატფორმის გიგანტზე როგორიცაა ამაზონი. 2019 წლესვე ხელი მოეწერა კონტრაქტს კომპანია Costcos-თან რომელიც ამერიკის „ჰარდსეილის“ გიგანტად ითვლება და პირველი საცდელი 20 კონტეინერი უნდა გავიდეს სექტემბერში რათა მოხდეს მარკეტინგული გატესტვა მხოლოდ ა.შ.შ-ის ერთ შტატში. სრული მოცულობით რეალიზაცია დაიწყება 2021 წლიდან, რაც დაახლოებით 14 500 000 ა.შ.შ დოლარის წლიურ რეალიზაციას გულისხმობს დაახლოებით 5 პროდუქტით, ამასთანავე იგეგმება რეალიზაციის 40 % იანი ზრდა ევროკავშირის ბაზარზე. ყოველივე ზემოთაღნიშნული ნიშნავს უფრო მეტ ინვესტიციებს და მეტ დასაქმებულ ხალხს საქართველოში.

შპს „ბობინი“ თავის მხრივ ძირითადად შპს „ჯეორჯიან პროექტის“ ზრდაზეა მიბმული ჯერჯერობით, მაგრამ ადგილობრივი ბაზარი საკმაოდ სწრაფად ვითარდება და ემატება ახალი კომპანიები, რომელთათვის ქაღალდის მიღების შეძენა მნიშვნელოვანია თავიანთი საბოლოო პროდუქტის შექმნაში. ასეთ კომპანიებს წარმოადგენს შესაფუთი წარმოებები, ეტიკეტის, წებოვანი ლენტის, სასათბურე პარკებისა თუ სხვადასხვა მსგავსი პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. მშობელი საწარმოს რეალიზაციის ზრდა ევროკავშირისა და აშშ-ის ბაზრზე ავტომატურად გამოიწვევს შვილობილი საწარმოს შპს „ბობინის“ ზრდას მომავალში 2019 წელთან შედარებით. ყოველივე ზემოთაღნიშნული გეგმები გვაძლევს საფუძველს და მოლოდინს ჯგუფის შემდგომი განვითარებისა და მნიშვნელოვანი წინსვლისა.

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები ჩვენს კომპანიას არ გააჩნია. რისკ-ფაქტორებად შეგვიძლია მივიჩნიოთ უფრო გლობალური რისკები როგორცაა უსაფრთხოება, ომი და სხვა მსგავსი ფაქტორები.

8. COVID-19-ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

COVID-19-ის პანდემიის პირობებში თითქმის ყველა სახის ბიზნესი დაზარალდა, დაზარალდა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკები, თუმცაღა მცირე რაოდენობით, მაგრამ არსებობენ კომპანიები რომელთა განვითარებასაც ხელი შეუწყო აღნიშნულმა ვირუსმა. მაგალითისთვის ჩვენს ჯგუფში შემავალი კომპანიებია, რომლებმაც არცერთი დღით არ გააჩერეს ექსპორტზე გაშვებები, მოთხოვნამ ევროპის ბაზარზე უფრო მეტად მოიმატა, გამომდინარე იქიდან რომ ჩვენი მომხმარებლები ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ყიდულობენ ნებისმიერ ნივთსა თუ საკვებს მთლიან ევროპის მასშტაბით.

დაწესებულმა შეზღუდვებმა დადებითად იმოქმედა ჩვენი პროდუქციის მყიდველის საქმიანობაზე, რადგან დროებით ან საერთოდ დაიკეტა მთელი რიგი ზოო მარკეტები, მათი კლიენტურა გადმოვიდა ონლაინ შესყიდვებზე, მათ ნახეს დიდი კომპორტი, სახლიდან გაუსვლელად შეეძლოთ ეყიდათ ნებისმიერი სახის პროდუქცია თუ საკვები თავიანთი შინაური ცხოველისთვის და გადაწყვიტეს რომ დარჩენილიყვნენ ელექტრონული შესყიდვების ერთგულ მომხმარებლებად. აღნიშნულმა თავის მხრივ იმოქმედა ჩვენი ჯგუფის საკმაოდ მნიშვნელოვან

ზრდაზე (წლის დასაწყისში იგეგმებოდა 20-25%-იანი ზრდა, ხოლო ახლა შეიძლება ითქვას რომ 40% ზრდაზეც მივაღწიოთ).

ამასთანავე ეკონომიკური კრიზისის გამო მექსიკაში დაიკეტა შინაური ცხოველების ავეჯის მწარმოებელი საწარმო რამაც კიდევ უფრო დიდი შანსები მიცა ჩვენს ჯგუფს ამერიკის ბაზარზე შევსულიყავით, ამასთანავე ჩვენი ნაწარმი აშშ-ის საზღვარზე იმპორტის გადასახადით არ იბეგრება, რაც ხარისხთან ერთად ფასშიც უფრო კონკურენტულს გვხდის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,

ამასთანავე აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია მშობელი საწარმოს, შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ს მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“

აღმასრ. დირექტორი:

დავით ბარდაველიძე

